

ერნესტ ჰემინგუეის მინიმალისტური სტილი და მისი მოთხრობების
ქართული თარგმანები

ქეთევან გილაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ანგლისტიკის ფილოლოგიის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა, გერმანული ფილოლოგია, რომანული
ფილოლოგია) და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

(მიმართულება: ანგლისტიკა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პაატა ჩხეიძე, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომელიც ნაშრომში

არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესის შესაბამისად.

ქ. გილაშვილი

15.06.2017წ.

სარჩევი

სარჩევი	ii
აბსტრაქტი.....	iii
Abstract.....	v
მადლობა	vi
შესავალი.....	1
თავი 1. ერნესტ ჰემინგუეი, როგორც ამერიკული მოდერნისტული პროზის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი	4
თავი 2. ერნესტ ჰემინგუეის სტილის ძიება	18
თავი 3. აისბერგის თეორია	25
თავი 4. მოთხრობების ქართული თარგმანები.....	30
4.1 მოთხრობა „მკვლელების“ ქართული თარგმანი.....	32
4.2 მოთხრობა „რაც დამთავრდას“ ქართული თარგმანი	50
დასკვნა	58
გამოყენებული ლიტერატურა.....	61

აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის მიზანია გამოიკვლიოს ერნესტ ჰემინგუეის მინიმალისტური სტილი და გამოავლინოს მწერლის წერის სტილის ჩამოყალიბების სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები, განიხილოს მწერლის მიერ შემუშავებული „აისბერგის თეორია“ და წარმოადგინოს, თუ რამდენადაა დაცული მწერლის სტილი ერნესტ ჰემინგუეის მოთხრობების ქართულ თარგმანებში.

ორიგინალი და სამიზნე ტექსტის კვლების გარდა ნაშრომის მიზანია დაადგინოს თუ რამდენადაა დაცული სამიზნე ტექსტში შინაარსობრივ-ფაქტუალური, შინაარსობრივ-კონცეპტუალური, შინაარსობრივ-ქვეტექსტური ინფორმაცია.

საკვლევ მასალად სამაგისტრო ნაშრომში გამოყენებულია ერნესტ ჰემინგუეის ორი მოთხრობა: „მკვლელები“ და „რაღაც დამთავრდა“ ვახტანგ ჭელიძის ამავე მოთხრობების თარგმანებთან ერთად.

ზემოაღნიშნული მოთხრობების დედანთან შედარებისას მეთოდოლოგიად გამოყენებულია ინესა მერაბიშვილის სადოქტორო დისერტაციაში „პოეტური ტექსტი და მისი თარგმანები, როგორც ლინგვისტური კვლევის ობიექტი“ გამოყენებული ინფორმაციული კატეგორიების მიხედვით შემუშავებული მეთოდიკა, რომელიც მოიცავს სამ კატეგორიას: შინაარსობრივ-ფაქტუალური ინფორმაცია, შინაარსობრივ-კონცეპტუალური ინფორმაცია, შინაარსობრივ-ქვეტექსტური ინფორმაცია.

კვლევამ ცხადყო, რომ მწერლის სტილის ჩამოყალიბებაში განმსაზღვრელი აღმოჩნდა მისი ჟურნალისტური საქმიანობა, რამაც განსაზღვრა ერნესტ ჰემინგუეისთვის დამახასიათებელი სტილისტური ნიშნები: მარტივი, სადა

წინადადებები, გამომხატველი ზედსართავი სახელების სიმცირე, სინტაქსური სიმეტრიულობა და მეტაფორების უარყოფა.

ორიგინალი ტექსტის დედნისეულ ტექსტთან შედარებისას დადგინდა, რომ სამიზნე ტექსტში თარგმნილ მოთხრობებში შეიმჩნევა გაქართულების ტენდენცია. მთარგმნელი მოთხრობის თარგმნისას ითვალისწინებს პერსონაჟის მეტყველების თავისებურებებს, რითაც იცავს ენობრივ რეგსტრს. ნაწარმოებში რიგ შემთხვევაში დარღვეულია ჰემინგუეისთვის დამახასიათებელი მინიმალისტური სტილი, რაც მთარგმნელის მხიდან გამომხატველი ზედსართავი სახელების გამოყენებას გულისხმობს. მოთხრობებში გამოყენებული ზმნები კი ნათარგმნია კონოტაციური მნიშვნელობის დამატებით. მოთხრობების თარგმნისას შეიმჩნევა შინაარსობრივ-ფაქტუალური და შინაარსობრივ-კონცეპტუალური ინფორმაციის დარღვევა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მინიმალისტური სტილი, აისბერგის თეორია, გამოტოვების თეორია, შინაარსობრივ-ფაქტუალური ინფორმაცია, შინაარსობრივ-კონცეპტუალური ინფორმაცია, შინაარსობრივ-ქვეტექსტური ინფორმაცია.

Abstract

Among many American writers Ernest Hemingway is well-known for his minimalistic style. The purpose of this study is to investigate the subjective and objective factors forming his writing style. The research also analyzes The Iceberg Theory, coined by Ernest Hemingway.

Our study has two major purposes: (1) to investigate style in Georgian translation and show how much of the style of the original text has been preserved. (2) to explore how much of the content-factual information, content-conceptual information and concept subtextual information has been retained.

For research materials are used Ernest Hemingway's two novels: "The Killers" and "The End of Something," that are translated into Georgian by Vakhtang Chelidze. For methodology is used informational category of text coined by I. Galperin, that includes three categories of information: content-factual information, content-conceptual information and concept subtextual information. Those categories were used in Inesa Merabashvili's dissertation.

On the basis of the results of the research, it can be concluded that Ernest Hemingway's minimalistic style comes from his working experience. About this, writer's narrative characterizes several stylistic devices: syntactical symmetry, simple and short sentences and lacking of expressive adjective.

Compare with the original text to target text we can say that in many cases translator foresees the peculiarity of character's discourse, so the register of ST is appropriate for TL. It must be mentioned that in some cases content-factual information and content-conceptual information have not been preserved in TT.

Key word: Minimalistic style, The Iceberg Theory, Content-factual information, Content-conceptual information, Concept subtextual information.

მადლობა

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელ ბ. პაატა ჩხეიძეს გაწეული შრომისთვის და იმ საინტერესო რჩევებისთვის და შენიშვნებისთვის, რომელსაც ვიღებდი მისგან სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პერიოდში.